

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 88-ე მუხლის შესაბამისად შედგენილი ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის პაატა ჩაგანავას

ანგარიში

ანგარიში მოიცავს 2016 წლის 31 ოქტომბრიდან 2016 წლის 30 ოქტომბრის ჩათვლით პერიოდს.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 44-ე მუხლის შესაბამისად, როგორც ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ვახორციელებდი შემდეგ საქმიანობას:

- ა) მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომებში მონაწილეობა;
- ბ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილებათა პროექტების მომზადება და ინიცირებაში მონაწილეობა;
- გ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების, ფრაქციის მუშაობაში მონაწილეობა;
- დ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოსადმი/თანამდებობის პირისადმი კითხვით მიმართვა;
- ე) ამომრჩეველთა მიღება, მათი წერილების, წინადადებებისა და საჩივრების განხილვა.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის საქმიანობიდან გამომდინარე, 2016 წლის 31 ოქტომბრიდან 2017 წლის 30 ოქტომბრის ჩათვლით პერიოდში მონაწილეობა მივიღე საკრებულოს 34 დადგენილებისა და 80 განკარგულების პროექტის განხილვაში.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის საქმიანობიდან გამომდინარე, ვხელმძღვანელობდი კომისიის სამუშაო გეგმით, რომლის მიხედვითაც გათვალისწინებული ყველა საკითხი განხილულ იქნა კომისიისა და საკრებულოს სხდომებზე. გარდა ამისა, განხილულ იქნა სხვადასხვა აქტუალური საკითხი, რომლებიც სისტემატურად შემოდიოდა კომისიაში განსახილველად და რეაგირებისათვის. განხილულ საკითხებზე შემუშავებულ იქნა შესაბამისი რეკომენდაციები და დასკვნები.

საანგარიშო პერიოდში კომისიაში სულ შემოსულია 140 წერილი. კომისიის სხდომებზე სულ განხილულია 55 საკითხი, ხოლო საკრებულოს სხდომაზე მიღებული და დამტკიცებულია: 23 განკარგულება და 13 დადგენილება. აქედან: კომისიაში

მომზადდა 2016 წელს საკრებულოს 3 დადგენილებისა და 6 განკარგულების პროექტი, ასევე 8 დასკვნა, ხოლო 2017 წელს – 10 დადგენილებისა და 16 განკარგულების პროექტი, ასევე 22 დასკვნა. სულ კომისიის მიერ საანგარიშო პერიოდში მომზადდა 30 დასკვნა.

პერიოდულად ვხდებოდი ამომრჩევლებს, სოციალური, ეკონომიკური, ინფრასტრუქტურული და სხვა პრობლემური საკითხების განხილვასთან დაკავშირებით.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს წევრი

პაატა ჩაგანავა